ბრძანება № 1-113

30 12 2021წ.

გორი

,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი, ქართულ ენაში მომზადების და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021-2022 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ" რექტორის 2021 წლის 26 აგვისტოს N1-61 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი, ქართულ ენაში მომზადების და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021-2022 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ" რექტორის 2021 წლის 26 აგვისტოს N1-61 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტის:

ა),,ა.ა"; ,,ა.ა.ა" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა.ა) ადმინისტრაციული რეგისტრაცია - 01 სექტემბერი, 2021 - 21 იანვარი, 2022;

ა.ა.ა) ადმინისტრაციული რეგისტრაცია პირველი წლის სტუდენტებისთვის (2021-2022 სასწავლო წლის ჩარიცხვა) - 23 სექტემბერი, 2021 - 21 იანვარი, 2022;";

ბ) ,,ა.დ" და ,,ა.ე" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა.დ) დასკვნითი გამოცდები - 31 იანვარი, 2022 – 18 თებერვალი, 2022;

ა.ე) დამატებითი გამოცდები - 21 თებერვალი, 2022 – 04 მარტი, 2022.";

გ) ,,ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) გაზაფხულის სემესტრი:

ბ.ა) ადმინისტრაციული რეგისტრაცია - 21 თებერვალი, 2022 – 11 მარტი, 2022;

ბ.ბ) სააუდიტორიო მეცადინეობები - 07 მარტი, 2022 – 17 ივნისი, 2022;

ბ.გ) შუალედური გამოცდები - 11 აპრილი, 2022 – 22 აპრილი, 2022;

ბ.დ) დასკვნითი გამოცდები - 27 ივნისი, 2022 – 15 ივლისი, 2022;

ბ.ე) დამატებითი გამოცდები - 18 ივლისი, 2022 - 29 ივლისი, 2022.".

2. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას.

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

5. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი